დიმიტრუ სტანილოაე, მემკვიდრეობა და პოლიტიკური ხედვები

გურამ ლურსმანაშვილი*

მოკლე ბიოგრაფია და ძირითადი ნაშრომები

2024 წლის 11-12 ივლისის სესიებზე, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა წმინდანად შერაცხა 16 წმინდანი, მათ შორის ცნობილი თეოლოგი, სიბიუსა და ბუქარესტის უნივერსიტეტების პროფესორი, მამა დიმიტრუ სტანილოაე (1903-1993).[1] ამ გადაწყვეტილებამ რუმინეთის თეოლოგიურ და ინტელექტუალურ წრეებში ვნებათაღელვა გამოიწვია, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ახლადშერაცხილ წმინდანებს, მათ შორის დიმიტრუ სტანილოაეს, ფაშისტური იდეოლოგიის მხარდაჭერის ბრალდებას უყენებდნენ ხოლმე.[2] ჩვენი სტატიის მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ სტანილოაეს ცხოვრება და გამოვყოთ ის ისტორიული მახასიათებლები, რომლებმაც მის პოლიტიკურ თეოლოგიაზე გავლენა მოახდინა.

დიმიტრუ სტანილოაე 1903 წლის 16 ნოემბერს ვლადენიში (ბრაშოვი, რუმინეთი) დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ბრაშოვში მიიღო, რის შემდეგაც, 1922 წელს ჩერნივცში (თანამედროვე უკრაინა) გადავიდა ღვთისმეტყველების შესასწავლად. აღნიშნული უნივერსიტეტი ავსტრია-უნგრეთის იმპერატორის ფრანც იოზეპის მიერ, 1875 წლის 31 მარტით დათარიღებული და-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. https://orcid.org/0000-0001-6906-8503

1 Holy Synod approves canonization of 16 modern-day saints, <https://basilica.ro/en/holy-synod-approves-canonization-of-16-modern-day-saints/> [03.06.2025].

2 Ionut Biliuta, Fascist Hagiographies. The Recent Canonizations of Fascist Saints in the Romanian Orthodox Church, <https://publicorthodoxy.org/2024/07/30/fascist-hagiographies/> [03.06.2025].

დგენილების შესაბამისად დაარსდა, ხოლო ამავე სასწავლებელში მოქმედი მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტი კი მთელ იმპერიაში ერთადერთი იყო.[3] ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახელებულ ფაკულტეტზე გერმანული თეოლოგიისა და კვლევის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი გავლენა შეინიშნებოდა, რაც ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი იყო იმისა, რომ სტანილოაემ ალღო ვერ აუღო იქაურობას და ფილოსოფიისა და ფილოლოგიის შესასწავლად ბუქარესტის უნივერსიტეტში გადაინაცვლა. სწორედ ამ პერიოდში დაუახლოვდა იგი სიბიუს მიტროპოლიტ ნიკოლაე ბალანს (1882-1955), რომელმაც დაარწმუნა სტანილოაე, რომ თეოლოგიის შესწავლას მიბრუნებოდა. შედეგად, იგი დაბრუნდა ჩერნივცში და 1927 წელს დაიცვა კიდეც ნაშრომი, რომელიც ბავშვთა ნათლობის საკითხს ეხებოდა. ამის შემდეგ, მიტროპოლიტი ნიკოლაე ბალანი სტანილოაეს კვლევითი სტიპენდიის მოპოვებაში დაეხმარა, რის დამსახურებითაც იგი ათენში გაემგზავრა. სწორედ ათენში დაიწყო სტანილოაემ მუშაობა თავის სადოქტორო დისერტაციაზე, რომელიც 1928 წელს ჩერნივცში დაიცვა. იგი იკვლევდა მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწე დოსითეოს იერუსალიმელის (1624-1693) ცხოვრებასა და თეოლოგიას, რომელიც რუმინული ენისა და რუმინული მონასტრების მფარველად მიიჩნეოდა. დისერტაცია პოეტური ენითაა დაწერილი და ეროვნულ-ისტორიული ნარატივი გასდევს თან, რაც გასაკვირი არცაა, რადგან მსოფლიო ომებს შორის არსებული რუმინული სემინარიები, შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალისტური იდეოლოგიის სამჭედლოდ იყვნენ ქცეულნი.[4] 1928-1930 წლებში, მიტროპოლიტ ბალანის ხელშეწყო-

[3] Yuriy Fedkovych Chernivtsi National University, <https://www.chnu.edu.ua/en/university/general-information/about-the-university/> [03.06.2025].

[4] Mirel Bănică, Biserica ortodoxă română: stat şi societate în anii ’30, Ed. Polirom, Bucharest, 2007, p. 206; National Council for the Study of the Securitate Archives, Fond Cristescu Grigore, I.258626, f. 86. იხ. ციტირება: Roland Clark, “Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae” Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 210.

ბით იგი მიუნხენში, ბერლინში, პარიზსა და კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. სტანილოაესთვის ეს პერიოდი გამორჩეულად ხასიათდება ბიზანტიური საღვთისმეტყველო ისტორიის, განსაკუთრებით კი გრიგოლ პალამას თეოლოგიის კვლევით.

1929 წელს სტანილოაე სიბიუში დაბრუნდა და მიტროპოლიტმა ბალანმა იგი სიბიუს ანდრეი შაგუნას (1809-1873) სახელობის საღვთისმეტყველო აკადემიის ასოცირებულ პროფესორად დანიშნა. ამ დროს იგი მხოლოდ ოცდაექვსი წლის იყო. სიბიუში სტანილოაე 1946 წლამდე დარჩა და დროის ამ შუალედში ასწავლიდა დოგმატიკას, აპოლოგეტიკას, პატრისტიკასა და ბერძნულ ენას. 1935 წელს იგი სრულ პროფესორად გამოირჩიეს, ხოლო 1936 წელს კი აკადემიის დეკანად. სიბიუში ყოფნის პერიოდში, 1930 წელს, დიმიტრუ დაქორწინდა და ამავე წელს ხელი დაესხა დიაკვნად, ხოლო 1932 წელს კი მღვდლად. ამასთანავე, სტანილოაე ჟურნალ Telegraful Român-ის (რუმინული ტელეგრაფი) მთავარი რედაქტორიც იყო. ამ ჟურნალს, სტანილოაეს მისვლამდეც ჰქონდა საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური პოზიცია და იგი აქტიურად ეხმიანებოდა ბოლშევიზმის, ნაციონალიზმისა თუ ვატიკანთან რუმინეთის სახელმწიფოს მიერ გაფორმებული კონკორდატის საკითხებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, კომუნისტური მმართველობის ზეწოლით, სტანილოაე იძულებული გახდა სიბიუ დაეტოვებინა და ბუქარესტში გადასულიყო. 1947 წელს იგი ბუქარესტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის ასკეტიზმისა და მისტიციზმის განყოფილების წევრად აირჩიეს, ხოლო მალევე კი დიმიტრუ გახდა ამავე ფაკულტეტის დოგმატიკისა და სიმბოლური თეოლოგიის პროფესორი. 1958-1963 წლები მან ციხეში გაატარა, ხოლო საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ იგი კვლავ აღადგინეს ბუქარესტში, მართლმადიდებლური თეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორად. უფრო მეტიც, მას საზღვარგარეთ მოგზაურობის

უფლებაც მისცეს, რათა რუმინული მთავრობა უცხოელების თვალში დემოკრატიულ რეჟიმად წარმოჩენილიყო. 1973 წელს სტანილოაემ აქტიურ პროფესიულ საქმიანობას თავი დაანება და მხოლოდ დოქტორანტებთან მუშაობდა. 1990 წელს იგი რუმინეთის აკადემიის წევრად აირჩიეს. 1993 წლის მარტში მისი მეუღლე, მარია დაიღუპა, ხოლო ამავე წლის 5 ოქობერს თავად მამა დიმიტრუ სტანილოაეც გარდაიცვალა.

თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე დიმიტრუ სტანილოაემ უამრავი ნაშრომი შექმნა, რომელიც მოიცავს როგორც ორიგინალ მონოგრაფიებსა და სტატიებს, ასევე, თარგმანებსაც. 1938 წელს გამოიცა სტანილოაეს პირველი მნიშვნელოვანი მონოგრაფია, სახელწოდებით: „წმ. გრიგოლ პალამას ცხოვრება და მოღვაწეობა“. აღნიშნული წიგნი რამდენიმე ასპექტითაა მნიშვნელოვანი არა მხოლოდ რუმინული, არამედ ზოგადად, თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიისთვის. უმთავრესად აღსანიშნავია, რომ დასახელებული მონოგრაფიის გამოცემის დროს, მართლმადიდებლურ სივრცეში მსგავსი ტიპის ნაშრომი, ფაქტობრივად, არ არსებობდა თუ არ ჩავთვლით გრიგორიოს პაპამიხაელისა (იგულისხმება ბერძნული მონოგრაფია: Παπαμιχαήλ Γρηγόριος, Ο Άγιος Γρηγόριος Παλαμάς Αρχιεπίσκοπος Θεσσαλονίκης: ηθικοπατρολογική συμβολή εις την ιστορίαν των ησυχαστικών έριδων του ΙΔ' αιώνος,Πατριαρχικού Τυπογραφείου Αλεξανδρείας, 1911) და ბასილ კრივოშაინის (იგულისხმება ჯერ 1938, შემდეგ კი 1954 წელს გამოცემული წიგნი – Fr. Basil Krivosheine, The Ascetic and Theological Teaching of Gregory Palamas, London: Geo. E. J. Coldwell) წიგნებს. ამათგან პირველი პალამას მოღვაწეობას უმთვრესად დასავლური გადმოსახედიდან განიხილავდა, ხოლო მეორის ნაშრომი კი უფრო მეტად აღწერითი ხასიათისა იყო, ვიდრე მონოგრაფიისა. ამგვარად, როდესაც 1927-1929 წლებში სტანილოაემ პალამას ტექსტების დამუშავება გადაწყვიტა, საკვლევი მასალების არარსებობის

გამო საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე დადგა. ამიტომ, იგი პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე თვის მანძილზე იქ არსებულ პალამას ხელნაწერებს ფოტოფირებს უღებდა და შემდგომში ამუშავებდა. შესაბამისად, მონოგრაფიის გამოცემამდე, სტანილოაე დაახლოებით 10 წელი იკვლევდა გრიგოლ პალამას ტექსტებს. საბოლოოდ, სტანილოაეს მონოგრაფიაზე დაყრდნობით შეიძლება ითვას, რომ ავტორი ისიხასტურ დავებს უმთავრესად განიხილავს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული საღვთისმეტყველო კონფლიქტის პერსპექტივიდან და არა ლოკალური გადმოსახედიდან. სტანილოაეს აზრით, სქოლასტიციზმი და ისიხაზმი ერთმანეთს მეთოთმეტე საუკუნეში დაუპირისპირდა და ამ დაპირისპირებაში პალამას ნაშრომები აღმოსავლეთის მხარეს გადმოსცემდა. ამასთანავე, უშუალოდ სქოლასტიციზმის დოქტრინა, სტანილოაესთვის, ფილოსოფია უფრო მეტად იყო, ვიდრე რელიგია.[5]

1978 წელს სამ ტომად გამოიცა სტანილოაეს წიგნი მართლმადიდებლური დოგმატური ღვთისმეტყველების შესახებ (Stăniîoae Dumitru, Teologia Dogmatică Ortodoxă, 3 vols (Bucharest: Editura Institutului Biblic şi de Misiune al Bisericii Ortodoxe Române, 1978), რომელიც მოგვიანებით გერმანულად, ბერძნულად, ფრანგულადა და ინგლისურადაც ითარგმნა. 1981 წელს წიგნის სახით გამოიცა სტანილოაეს სალექციო კურსი ზნეობით ღვთისმეტყველებაში. 1992 წელს დასახელებული წიგნი შევსებული სახით გამოიცა სათაურით: ,,მართლმადიდებლური სულიერება: ასკეტიკა და მისტიკა“ (რუმ. Stăniîoae Dumitru, Spiritualitatea Ortodoxă: Ascetica şi Mistica (Bucharest: Editura Institutului Biblic şi de Misiune al Bisericii Ortodoxe Române, 1992). აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრუ სტანილოაემ რუმინულად თარგმნა და 1946-1991

[5] Adrian Agachi, The Neo-Palamite Synthesis of Father Dumitru Stăniloae, Cambridge Scholars Publishing, 2013, 38-40.

წლებში 12 ტომად (თითოეული ტომი დაახლოებით 400 გვერდი) გამოსცა, ძალიან მნიშვნელოვანი საეკლესიო ძეგლი „ფილოკალია“. თარგმნისას იგი დაეყრდნო წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელისა და მაკარიოს კორინთელის მიერ 1782 წელს გამოცემულ ბერძნულენოვან სახელმძღვანელოს.[6]

სტანილოაეს პოლიტიკური თეოლოგია

დიმიტრუ სტანილოაეს პოლიტიკური თეოლოგიის გასაგებად აუცილებელია ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ იმ ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ კონტექსტზე, რომელშიც მისი იდეები ჩამოყალიბდნენ. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუმინეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა რუმინელები ამაზე გაჩერებას არ აპირებდნენ და სურდათ, რომ რუმინულენოვანი მოსახლეობა ერთ სახელმწიფოში გაერთიანებულიყო. ეს იდეა განსაკუთრებულად ეხებოდა ტრანსილვანიისა და ბესარაბიის ტერიტორიებს, რომელთან ერთადაც რუმინეთის ჰომოგენური ერი-სახელმწიფო უნდა შექმნილიყო. ამ იდეის განხორციელებაში რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც დიდი გავლენის მქონე და ნაციონალური იდეებისთვის ხელისშემწყობ ინსტიტუტს, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა.

დიმიტრუ სტანილოაე ბავშობიდანვე სწორედ ამგავრი იდეოლოგიური ჭიდილის მომსწრე და მონაწილე იყო, რამდენადაც იგი ტრანსილვანიის სამხრეთ ნაწილში, ბრაშოვის (Braşov) რაიონში დაიბადა, ხოლო ტრანსილვანია კი (სადაც მართლმადიდებლების გარდა პროტესტანტები და ბიზანტიური წესის კათოლიკეებიც ცხოვრობდნენ) ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

1918 წლიდან რუმინელებისთვის შესაძლებლობათა ახალი ფანჯარა გაიხსნა, რაშიც ეკლესია ძალიან აქტიურად მონაწილე-

[6] Andrew Louth, Modern Orthodox Thinkers, From the Philokalia to present. Downers Grove, IVP Academic 2015, 131.

ობდა. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას რუმინელებს საშუალება მიეცათ ერთიანი რუმინული სახელმწიფო შეექმნათ იმ ფრაგმენტებისგან, რომლებიც, მსოფლიო ომის დაწყებამდე, სხვადასხვა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. აქედან გამომდინარე, 1918-1940 წლების რუმინული საეკლესიო, ინტელექტუალური თუ პოლიტიკური ელიტა განმსჭვალული იყო ე.წ. „დიდი რუმინეთის“ იდეით, რომელიც უმთავრესად სწორედ ნაციონალურ და რელიგიურ საკითხებს ემყარებოდა და რომელიც ე.წ. „რომანიანიზმის“ იდეოლოგიასთან იყო დაკავშირებული.[7] სტანილოაე, თავის მხრივ, ორი ტიპის ნაციონალიზმს განარჩევს, ერთი, რომელიც სიძულვილს ემყარება, ხოლო მეორე კი სიყვარულს. დიმიტრუს ჯერა, რომ სწორედ ეს უკანასკნელია ხსნისთვის აუცილებელი.[8] სტანილოაეს აზრით, ყველა ადამიანი ეროვნების მქონეა, რაშიც ღვთის განგებულება შეიმჩნევა. მართალია, რომ ხსნა *ეროვნულობის მეშვეობით* არ ხდება, მაგრამ იგი *ეროვნულობაში* აღესრულება.[9] აქედან გამომდინარე კლარკი პირდაპირ ამბობს, რომ სტანილოაესთვის ეროვნულობა ონტოლოგიური კატეგორიაა.[10]

სტანილოაეს აზრით, რამდენადაც სახელმწიფო წესრიგის სამსახურშია, იმდენად იგი ბოროტის წინააღმდეგ ღვთის ხელში არსებული საჭირო ინსტრუმენტია, თუმცა, ეკლესია მასზე ბევრად აღმატებულია, რადგან ღვთის სასუფევლის რჯული არა სახელ-

---

[7] Иванов И. А. О некоторых аспектах политической теологии в ранних статьях протоиерея Думитру Станилое, Вопросы теологии. 2020. Т. 2, № 2. С. 234–249, აქ: 235.

[8] Roland Clark, Nationalism, Ethnotheology, and Mysticism in Interwar Romania, Carl Beck Papers in Russian and East European Studies, no. 2002 (Pittsburgh: University of Pittsburgh, 2009), 1-47, აქ: 14.

[9] Dumitru Stăniloae, “Ortodoxie şi na ațiune,” Gândirea 14/2 (1935): 76–84; “Scurtă interpretare teologică a nației,” in Ortodoxie şi românism, 40; “Naționalismul sub aspect moral,” 173f. იხ. ციტირება: Roland Clark, Nationalism, Ethnotheology, and Mysticism in Interwar Romania, Carl Beck Papers in Russian and East European Studies, no. 2002 (Pittsburgh: University of Pittsburgh, 2009), 1-47, აქ: 14.

[10] Roland Clark. “Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae” Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 212.

მწიფოსთან, არამედ მადლსა და სიყვარულთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, საღვთო მადლის ძალმოსილება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მსხვერპლშეწირვით, ძღვენის სახით მოდის და არა იძულების. ამასთანავე, სახელმწიფოსგან განსხვავებით, სიყვარულის მეშვეობით იგი სრულად გვათავისუფლებს რჯულის საჭიროებისგან.[11] სახელმწიფოსთან დაკავშირებით საუბრისაც სტანილოაე იმასაც ამბობს, რომ კაცობრიობის ცოდვილი ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ მუსოლინის იტალიის მსგავსად მოდელირებული ძლიერი და იერარქიული სახელმწიფო შეძლებდა რუმინელთა დაცვას ინდივიდუალიზმის, კომუნიზმისა და მასონური საფრთხეებისგან.[12] ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სტანილოაესთვის ბოლშევიზმი, მისი მარქსისტული ფორმით, დასავლური აზროვნების პროდუქტი იყო, რომელიც ვერ თავსდებოდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან.[13] ამასთანავე, 1926 წელს იგი ბიბლიური ეგზეგეტიკის მოშველიებით გმობდა კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით კომუნისტების მიერ გამოხატულ პოზიციას.[14]

სტანილაეს ამგვარი ხედვები გარკვეულწილად განპირობებული იყო პროფესორ ნიკიფორე კრაინიკის (1889-1972) შთაგონე-

---

[11] D. Stăniloae, „Cele două împărății", in: Gândirea, XVI (1937), 1, pp. 26-35. Reprinted in: Dumitru Stăniloae, Ortodoxie şi românism, Tiparul Tipografiei Arhidiecezane, Sibiu, 1939, pp. 236-269. იხ. ციტირება: Roland Clarkm "Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae" Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 211

[12] D. Stăniloae, „Necesitatea ierarhiei în viața socială", in: Telegraful Român, LXXXIV (1936), 39, pp. 1-2. Reprinted in: C. Schifirneț, Națiune şi creştinism, pp. 45-48. იხ. ციტირება: Roland Clark, "Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae" Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 211.

[13] Иванов И. А. О некоторых аспектах политической теологии в ранних статьях протоиерея Думитру Станилое // Вопросы теологии. 2020. Т. 2, № 2. С. 234–249, აქ: 238.

[14] D. Stăniloae, „Munca şi proprietatea în Testamentul Nou", in: Revista teologică, XVI (1926), 8-10. იხ. ციტირება: Roland Clark. "Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae" Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 210.

ბით, რომლის თანახმადაც, ომთაშორისი პერიოდის რუმინეთი ძალიან იყო დაშორებული ღმერთს, რაც გამოწვეული იყო ფრანგული კულტურის, მასონებისა და ებრაელების ზეგავლენით.[15] სტანილოაეზე ნიკიფორეს გავლენები შემთხვევითი არ ყოფილა. ეს უკანასკნელი სტატიებს ბეჭდავდა ჟურნალ Gândirea-ში (აზროვნება), რომელიც 1928-1944 წლებში სწორედ კრაინიკის ხელმძღვანელობით გამოიცემოდა.[16]

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სტანილოაე რელიგიური გადმოსახედიდან აგრძელებდა სახელმწიფოს ავკარგიანობის შესახებ მსჯელობას და ამბობდა, რომ ადამიანები ინტუიციურად გრძნობდნენ როგორც ანარქიის ცოდვილ ბუნებას, ასევე ერთიანობის ღვთივსათნოობას. სტანილოაე იმასაც აცხადებდა, რომ ძლიერი ხელისუფლება ღვთის ძღვენი იყო, რადგან იგი სხვადასხვა ჯგუფების გაერთიანებას ეხმარებოდა.[17] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც დიმიტრუ სიყვარულსა და ერთიანობაზე საუბრობდა, იგი უპირველესად რუმინელ ერსა და სახელმწიფოს მხარდაჭერაზე ფიქრობდა, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ იბრძოდა.[18]

ამგვარი მიდგომის გამო, გასაკვირი არაა, რომ სტანილოაეს, განსაკუთრებით თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში, საკ-

---

[15] Nichifor Crainic, „Tradiție şi internaționalism", in: Gândirea, VIII (1928), 2, pp. 76-77. იხ. ციტირება: Roland Clark. "Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae" Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 212.

[16] Ladouceur P. Modern Orthodox Theology: Behold I Make All Things New. London; New York; Oxford; New Delhi; Sydney: T&T Clark 2019, 168.

[17] Dumitru Stăniloae, "Unitate în noi şi între noi," Telegraful Român 91/47 (1943): 1. – Dumitru Stăniloae, "Cele două împărăți,i" Gândirea 16/1 (1936): 26–35. იხ. ციტირება: Roland Clark, Nationalism, Ethnotheology, and Mysticism in Interwar Romania, Carl Beck Papers in Russian and East European Studies, no. 2002 (Pittsburgh: University of Pittsburgh, 2009), 1-47, აქ: 15.

[18] Roland Clark, Nationalism, Ethnotheology, and Mysticism in Interwar Romania, Carl Beck Papers in Russian and East European Studies, no. 2002 (Pittsburgh: University of Pittsburgh, 2009), 1-47, აქ: 16.

მაოდ სპეციფიკური დამოკიდებულება ჰქონდა ბიზანტიური წესის კათოლიკეებთან და მათ იეზუიტების მიერ მანიპულირებულ ჯგუფად მოიხსენიებდა.[19] სტანილოაე, ემყარებოდა რა ფილოსოფოს ნაე იონესკუს (1890-1940), მიიჩნევდა, რომ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სარწმუნოებას შორის არსებული ძალიან დიდი განსხვავების გამო, შეუძლებელია რუმინელი ყოფილიყო კათოლიკე, ე.ი. რუმინელის იდენტობა მისთვის მართლმადიდებლობასთან იყო გაიგივებული.[20] ამგვარი მოცემულობიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც რუმინეთის კომუნისტურმა პარტიამ, 1948 წელს, უნიატური ეკლესია გააუქმა, სტანილოაე აცხადებდა, რომ რეალურად, უნიატური ეკლესია ყოველთვის იყო რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რადგან უნიატებს ლიტურგია და შესაბამისად, ეროვნული ეკლესიის სარწმუნოებაც შენარჩუნებული ჰქონდათ. ამ მიდგომას იგი მოგვიანებით, 1973 წლისთვისაც იზიარებდა.[21]

ინტერნაციონალიზმთან სკეპტიკური დამოკიდებულების მიღმა, სტანილოაე აქტიურად უჭერდა მხარს რეგიონულ თანამშრომლობას. სწორედ ამიტომ ემხრობოდა იგი ბალკანურ პაქტს, რომელსაც 1934 წლის თებერვალში რუმინეთმა, იუგოსლავიამ, საბერძნეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს. უფრო მეტიც, მისი

---

[19] D. Stăniloae, „Iezuiții, dascălii uniației", in: Telegraful Român, LXXXIII (Feb 3, 1935), 6, pp. 1-2; D. Stăniloae, „Papagalii iezuiților", in: Telegraful Român, LXXXIII (Mar 10, 1935), 11, pp. 1-2. Stăniloae's attitude towards the Uniates never softened, and an excellent discussion of his post-war writings on the Uniate Church can be found in Ronald G. ROBERSON, „Dumitru Stăniloae on Christian Unity", in: Lucian TURCESCU (ed.), Dumitru Stănioae: Tradition and Modernity in Theology, The Center for Romanian Studies, Iaşi, 2002, pp. 113-117. იხ. ციტირება: Roland Clark, Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae. Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 212-213.

[20] Roland Clark. Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae. Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 213.

[21] Mihail Neamțu, "Between the Gospel and the Nation: Dumitru Stăniloae's Ethno-theology," Arhaevs 10 (2006): 27. იხ. ციტირება: Roland Clark, Nationalism, Ethnotheology, and Mysticism in Interwar Romania, Carl Beck Papers in Russian and East European Studies, no. 2002 (Pittsburgh: University of Pittsburgh, 2009), 1-47, აქ: 15.

აზრით, სწორედ ეს თანამშრომლობა იქნებოდა მომავალში პანორთოდოქსული ბლოკის საფუძველი, რომლის ცენტრიც ბალკანეთზე იქნებოდა, რაც მთლიანობაში, გრავიტაციის წერტილის რუსეთიდან გადმოტანასაც გამოიწვევდა. სტანილოაეს გეგმით, ამ იდეის ადმინისტრაციული ცენტრი კონსტანტინოპოლი უნდა ყოფილიყო, სადაც გაიმართებოდა ხოლმე სხდომები და იფუნქციონირებდა სასულიერო სემინარია, რომელშიც, ყოველ წელს, თითოეული მართლმადიდებელი ქვეყანა 10-15 სტუდენტს გაუშვებდა, რაც სამომავლო პერსპექტივაში, მართლმადიდებლების ერთმანეთთან დაახლოებისა და ერთვარი მართლმადიდებლური სოლიდარობის ჩამოყალიბების საფუძველი იქნებოდა.[22]

1937 წელს, რუმინული ფაშისტური ორგანიზაცია რკინის გუშაგის (რუმ. Garda de Fier) ორი ლიდერი, იონ მოტა და ვასილე მარინი მოკლეს. რუმინეთში ეს პირები ეროვნულ გმირებად გამოაცხადეს, ხოლო სტანილოაე კი მათ, როგორც ქრისტეს მოწამეებს, ისე იხსენიებდა.[23]

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, სტანილოაე, გენერალ იონ ვიქტორ ანტონესკუს (რომლის მეთურობითაც რუმინეთში სამხედრო მმართველობა დამყარდა)[24] უწოდებდა „ქრისტიანობის მახვილს“, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომებში არსად შეიმჩნევა ძალადობისაკენ მოწოდება ან რასობრივ ნიადაგზე ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის წახალისება.[25]

---

[22] D. Stăniloae, „Pactul balcanic şi perspectiva ortodoxă”, pp. 1-2. Reprinted in: C. SCHIFIRNEȚ, Națiune şi creştinism, p. 30. იხ. ციტირება: Roland Clark, Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae” Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 215.

[23] Dumitru stăniloae, martiri pentru Hristos (Martyr for Christ), Telegraful Român 85, 4 (1937), 2. იხ. ციტირება: Ladouceur P. Modern Orthodox Theology: Behold I Make All Things New. London; New York; Oxford; New Delhi; Sydney: T&T Clark 2019, 173.

[24] გურამ ლურსმანაშვილი, მართლმადიდებლობა თანამედროვე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მისი პოლიტიკური ასპექტები. დიალოგი 15(6) 2022, 48-54.

[25] Roland Clark, Nationalism, Ethnotheology, and Mysticism in Interwar Romania,

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სტანილოაე ნაციონალიზმის შესახებ ბევრად ცოტას წერდა, ხოლო 1989 წლიდან კი, გარკვეულწილად, კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს.[26] ამ ყველაფერს კი თავისი განმაპირობებელი მიზეზები ჰქონდა. საქმე იმაში იყო, რომ მეორე მსოფლიო ომამდელი და გარკვეულწილად ომის პერიოდის პოლიტიკური შეხედულებების გამო სტანილოაე, რუმინეთის კომუნისტურმა რეჟიმმა დააპატიმრა.[27] თეოლოგმა, ფაშისტურ ჯგუფებთან კავშირის ბრალდებით 1959-1963 წლები საპყრობილეში გაატარა. საპყრობილედან გათავისუფლების შემდეგ, სტანილოაე ნაციონალურ თემებზე საუბარს დუმილს ამჯობინებდა, მანამ სანამ 1989 წელს, რუმინეთში, ჩაუშესკუს კომუნისტური ხელისუფლება არ დაამხეს.[28] პატიმრობასთან დაკავშირებით იგი საინტერესოდ შენიშნავდა ხოლმე, რომ ეს იყო მისი ცხოვრების ერთადერთი პერიოდი, როდესაც მას დაუბრკოლებლად შეეძლო იესოს ლოცვით ლოცვა.[29] რუმინეთში კომუნისტური რეჟიმის ცვლილების შემდგომ, ნაციონალურ თემებთან დაბრუნებული სტანილოაეს ნააზრევის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება მისი მონოგრაფიაა – Reflecții despre spiritualitea poporului român (რეფლექსიები რუმინელი ხალხის სულიერებასთან დაკავშირებით), რომელიც კრაიოვაში 1992 წელს გამოიცა.

Carl Beck Papers in Russian and East European Studies, no. 2002 (Pittsburgh: University of Pittsburgh, 2009), 1-47, აქ: 11.

[26] Roland Clark, Nationalist and Trinitarian Visions of the Church in the Theology of Dumitru Staniloae. Studii teologice, 9/2 (2013): 207-226, აქ: 216.

[27] რუმინეთში კომუნისტური რეჟიმის ანსტიეკლესიური კამპანიის შესახებ იხ. გურამ ლურსმანაშვილი, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მძიმე წარსულიდან, ზღვარი – მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა, 12(2), 2024, 50-56.

[28] Roland Clark, Nationalism and Ecumenicism: Why Politics Matters, <https://publicorthodoxy.org/2024/10/02/nationalism-and-ecumenicism/> [03.06.2025].

[29] Cited by Olivier Clément, “In Memoriam Dumitru Staniloae (1903-1993)’, Contacts, 45, 161 (1993), 293. იხ. ციტირება: Ladouceur P. Modern Orthodox Theology: Behold I Make All Things New. London; New York; Oxford; New Delhi; Sydney: T&T Clark 2019, 168.

მამა დიმიტრუ სტანილოაე უდავოდაა რუმინული და ზოგადად თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საინტერესო წარმომადგენელი, რომლის წერილობით მემკვიდრეობასაც უწყვეტ რეჟიმში სწავლობენ და იკვლევენ. ამ ფონზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი სოციალური და პოლიტიკური არსებაა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად აუცილებლად განიცდის მის ირგვლივ მიმდინარე პროცესების, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობისა თუ ისტორიული მემკვიდრეობის გავლენას, რაც სავსებით ნორმალური და ლოგიკური მოცემულობაა. ასეთ დროს, ნებისმიერი პიროვნების ნააზრევის შესწავლისას მთავარია მაქსიმალური ობიექტურობა, რათა აღქმადი იყოს ამ პიროვნების რეალური შეხედულებები და მათი გაზიარება-არგაზიარების მიუხედავად, მიუკერძოებლად შეფასდეს მისი პირადი ღირსებები. დიმიტრუ სტანილოაეს თეოლოგიის რეცეფციასთან დაკავშირებით სწორედ ამგვარი მიდგომაა საჭირო.

DUMITRU STĂNILOAE: LEGACY AND POLITICAL THOUGHT

Guram Lursmanashvili*

Abstract

This article examines the theological legacy and political thought of Dumitru Stăniloae (1903–1993) within the transformative context of the Romanian Church and state in the twentieth century. Against the backdrop of his canonization in 2024 and the ensuing debates, it begins with a concise overview of Stăniloae's life and major works. From the perspective of political theology, the study demonstrates that Stăniloae's ideas developed in dialogue with the "Greater Romania" project, the Church's national role, and prevailing anti-communist sentiments. The author distinguishes between forms of nationalism rooted in "hatred" and those inspired by "love," interpreting the state as an instrument for restraining evil and the Church as the sphere of grace and love. Particular attention is devoted to the intellectual influence of Nichifor Crainic, Stăniloae's vision of Balkan cooperation and pan-Orthodox unity, his stance on the Uniate question, and his wartime writings during the Second World War. The article concludes by calling for an objective and critical reassessment of Stăniloae's thought, in order to clarify both the historical-theological significance and the more controversial dimensions of his legacy.

Keywords: Dumitru Stăniloae, political theology, Romanian Orthodox Church, nationalism, Gregory Palamas, Philokalia, communism.

---

* Sulkhan-Saba Orbeliani University. https://orcid.org/0000-0001-6906-8503